# ხელშეკრულება № 21

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 04 ოქტომბერი - - 2011წ

ერთის მხრივ, სსიპ არაშენდის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის მზია ფაფუნაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „გლობალ კომპი" - - - (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი ზურაბ გოგოძის - - - - - - - - სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - - Air Router - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - .

### 2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს - - - - - ლარს;

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით).

2.3 ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას მოახდენს „მიმწოდებელი".

### 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2011 წლის 4/X-დან - - 1/XI- მდე;

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გორის რაიონი სოფელი - - - - - - - - ;

4.3 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადებით შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მოაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს „ “ დღისა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

6.4. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

### 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.5. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.6. სადავო საკითხები მხარეთა შორის წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

### 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

### 9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველს", ერთი - „მიმწოდებელს").

9.2. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით;

### 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ არაშენდის საჯარო სკოლა | შპს „გლობალკომი" |
| მისამართი: გორის რაიონი, სოფ. არაშენდა | ქ. გორი სტალინის ქ. №13 |
| ტელეფონი: 599419283 | 790-22-33-44 |
| ს/კ 218049528 | 8(370) 27-22-81 |
| სს ლიბერთი ბანკი | სს „ლიბერთი ბანკი" |
| ანგ. № GE86LB0121199396039000 | ბ.კ. 220101950 |
| კოდი LBRTGE22 | ანგ. № 360201011700500 |
| სკოლის დირექტორი: /[illegible]/ | |